



ევროკავშირი
საქართველოსთვის



გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების
სასოფლო არეალებში ნარჩენების მართვისას ადგილობრივი
მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა
უფლებების და ინტერესების დაცვის მიმართულებით არსებული
მდგომარეობის

მონიტორინგის ანგარიში

2023 წელი

ა(ა)იპ

„ქალი და განვითარება“

პროექტი:

„უფლებების ამოქმედება“

ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ:

1. პროექტის დირექტორი: ფატი ბუხრიკიძე
2. პროექტის ასისტენტი: მეგი აბალაკი
3. პროექტის ფინანსური დირექტორი: ელენა ენუქიძე
4. მკვლევარ-ფასილიტატორები: ნათია ბაზერაშვილი, ლანდა ბირთველიშვილი და გიორგი ბერუაშვილი
5. მოწვეული მკვლევარ-ანალიტიკოსი: სოსო მეზვრიშვილი

ეს პუბლიკაცია შექმნილია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის *“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებულებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ „ქალი და განვითარება“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
კვლევის მეთოდოლოგია	5
სამაგიდო კვლევის ზოგადი ანალიზი	7
გორის მუნიციპალიტეტის სამაგიდო კვლევის ანალიზი	9
ქარელის მუნიციპალიტეტის სამაგიდო კვლევის ანალიზი	16
რაოდენობრივი კვლევის ანალიზი გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში	24
მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები	43
რეკომენდაციები	45
ტერმინთა განმარტება	47
დანართები	48
დანართი #1.	48
დანართი #2	52
რაოდენობრივი კვლევის ანალიზისას შედგენილი დიაგრამები	52

შესავალი

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ქვეყანაში მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის და ღირსეული ცხოვრების მეტ შესაძლებლობებს ითვალისწინებს. ამ შეთანხმებით, საქართველომ, როგორც ასოცირების ხელმომწერმა ქვეყანამ გარკვეული ვალდებულებები აიღო, რომელთა შორის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში გაუმჯობესდეს გარემოს ხარისხი, უზრუნველყოფილი იქნეს ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვა და ხელი შეეწყოს ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების ფარგლებში მუნიციპალურ ხელისუფლებას ბევრ ვალდებულებათა შორის ეკისრება, დასუფთავების სერვისების მიწოდებისას დაიცვას ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები და მაქსიმალურად გაითვალისწინოს მათი, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებები და ინტერესები.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების ფარგლებში მუნიციპალური ხელისუფლების ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად ა(ა)იპ „ქალი და განვითარება“-მ პროექტის „უფლებების ამოქმედება“ ფარგლებში აწარმოა კვლევითი სამუშაოები იმ მიზნით, რომ გამოეკვლია, როგორი მდგომარეობაა დასუფთავების სერვისების მიწოდებისას გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების სასოფლო არეალებში ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების და ინტერესების დაცვის მიმართულებით.

„ქალი და განვითარება“-ს პროექტის „უფლებების ამოქმედება“ ფარგლებში ორგანიზებული კვლევითი სამუშაოებისას შეფასდა, თუ როგორ მიმდინარეობს გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული შემდეგი მუხლების: გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა (მუხლი 301 და 302) შესრულება.

პროექტის ფარგლებში ნაწარმოები კვლევითი სამუშაოების გაანალიზების შემდეგ მომზადდა მონიტორინგის ანგარიში. მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ პრობლემებზე „ქალი და განვითარება“-ს მენეჯმენტის გუნდის მიერ შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი და ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით გასავრცელებლად გამოიცა წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის სახით.

კვლევის მეთოდოლოგია

ორგანიზაციის „ქალი და განვითარება“ პროექტის „უფლებების ამოქმედება“ ფარგლებში დაგეგმილი კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად შემუშავებული იქნა ისეთი მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება მეტი ალბათობით იძლევა რესპონდენტებისგან მაქსიმალურად სანდო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. ამ მიზნით შეირჩა ველზე სამუშაო ჩარჩო და განისაზღვრა კვლევის მეთოდები. ასეთი პრინციპით განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით სამიზნე კვლევისთვის გამოყენებული იქნა შერეული კვლევის დიზაინი, რაც გულისხმობს კვლევის რამდენიმე მეთოდის ერთობლივად გამოყენებას.

პირველ ეტაპზე გამოყენებულ იქნა სამაგიდო კვლევის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების მერიებიდან შესაბამის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას და მის დამუშავებას. ამ მიზნით გამოთხოვილ სხვადასხვა საჯარო ინფორმაციათა შორის, ასევე გამოთხოვილი იქნა ნარჩენების მართვის მუნიციპალური სტრატეგიის დოკუმენტები, რომლებიც სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2017 წლის დეკემბერში დაამტკიცეს და 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ითვალისწინებს ნარჩენების მართვის კუთხით მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვას და ნარჩენების მართვის სისტემის მოწესრიგებას.

სამაგიდო კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზდა, გამოიყო კვლევის საკითხთან დაკავშირებული ძირითადი თემები, გაკეთდა შესაბამისი დასკვნები და მომზადდა მიღებული შედეგების შესახებ ანალიზის ქვეთავი. გარდა ამისა, სამაგიდო კვლევის შედეგების ანალიზის შემდეგ შეიქმნა სტრუქტურირებული კითხვარი კვლევის მეორე ეტაპისათვის.

სტრუქტურირებული კითხვარის თითოეული კითხვა პროექტის „უფლებების ამოქმედება“ პროგრამულ და პროცედურულ ამოცანებთანაა დაკავშირებული და მიმართულია რესპოდენტების პასუხების სწორად დაფიქსირება-რეგისტრაციაზე, მათ დამუშავებასა და თეორიულ ინტერპრეტაციაზე. მოცემულ შემთხვევაში სტრუქტურირებული კითხვარის შესაქმნელად გამოყენებული იქნა კითხვების ფორმულირების სხვადასხვა ტიპი (დახურული, პირდაპირი და ირიბი, ძირითადი და საკონტროლო კითხვები). რაც შეეხება თავად კითხვარს, მისი შევსების ინსტრუქციას და სხვა დოკუმენტებს, მომზადდა კვლევის სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, კვლევის მეორე ეტაპის მიზნია, უკვე არსებული საჯარო დოკუმენტების საფუძველზე გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების სასოფლო არეალებში რაოდენობრივი კვლევის განხორციელება ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდის გამოყენებით. ამ მიზნით დაგეგმილი კვლევა აქცენტირებულია გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის, როგორც მუნიციპალური მომსახურების

მიმღებთა ინტრესების და უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული სიტუაციის მოკვლევაზე რაოდენობრივი გამოკითხვის საშუალებით.

დასახული ამოცანების შესაბამისად კვლევის მეორე ეტაპი ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდის გამოყენებით განხორციელდა გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში. განხორციელებული რაოდენობრივი კვლევითი სამუშაოების დროს გამოიკითხა გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების სასოფლო არეალებში მცხოვრები 320-ზე მეტი რესპონდენტი.

კვლევის მეორე ეტაპზე, რაოდენობრივი კვლევის დროს, გამოყენებული იქნა სამ დონიანი შერჩევა, რომელიც მოიცავდა ალბათური და არაალბათური მეთოდების გამოყენებას.

არაალბათური შერჩევის მეთოდის გამოყენება საჭირო გახდა იმისათვის, რომ თითოეულ სრულწლოვან მოქალაქეს ჰქონოდა კვლევაში მოხვედრის თანაბარი შანსი. გარდა ამისა, ეს მეთოდი ასევე ითვალისწინებს ყველა სამიზნე თემისთვის კვლევაში მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობას. ამავე დროს, ეს მეთოდები გამოყენებული იქნა იმისთვის, რომ ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტი შედგება საკმაოდ მრავალრიცხოვანი თემებისგან, შესაბამისად, საჭირო იყო ყველა თემის ჩართულობა პროპორციულად, რათა მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო კვლევაში თემების თანაბრად მონაწილეობის შესაძლებლობები. ყოველივე ამის შემდეგ გამოყენებული იქნა ისევ არაშემთხვევითი შერჩევის პრინციპი, რის შედეგად თითოეულ სამიზნე თემში ძირითადად შეირჩა ისეთი სოფლები, სადაც მერის წარმომადგენლების ოფისებია განთავსებული. ამ კომპონენტის გათვალისწინება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ადმინისტრაციულ სოფლებში ყოველთვის მეტი მოსახლე ცხოვრობს და პრობლემები თემს აქვს ერთგვაროვანი, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს თითოეული ადმინისტრაციული სოფლის მონაცემების განზოგადება მთლიან თემზე.

რაც შეეხება მესამე შერჩევის მეთოდს, გამოყენებული იქნა ბიჯის საშუალებით გამოკითხვის ჩატარება ველზე მარტივი შერჩევის პრინციპით. ბიჯი ყოველ შერჩევის წერტილზე განსხვავებული იყო და ინტერვიუერები ველზე მოქმედებდნენ ინდივიდუალური დავალების საფუძველზე. ბიჯი იყო 3 (სამი) და 5 (ხუთი),

რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა SPSS და EXEL პროგრამები, რისთვისაც მომზადდა მონაცემთა ბაზა, გაიწმინდა და ანალიზის მიზნების შესაბამისად დამუშავდა რაოდენობრივი მონაცემები. ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნა აგრეთვე აღწერითი და სიხშირული სტატისტიკური ოპერაციები.

კვლევის პროცესის დროს დაცული იყო რესპონდენტის ანონიმურობა და კვლევის ეთიკის პრინციპები.

სამაგიდო კვლევის ზოგადი ანალიზი

ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 15 იანვარს, კარგად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ვალდებულებებს მუნიციპალური ნარჩენების მართვისას.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს 2017/2018 წელს უნდა შეემუშავებინა და მიეღო მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიის (2016-2030 წწ.) და სამოქმედო გეგმის (2016-2020 წწ.) ძირითად მიზნებსა და ამოცანებთან.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიის (2016-2030 წწ.) და სამოქმედო გეგმის (2016-2020 წწ.) ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედი თითოეული მუნიციპალური ხელისუფლება ვალდებულია საკუთარ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განახორციელოს ქმედებები, რათა მოახდინოს ნარჩენების მართვა, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. ამ მიზნით საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე შეიქმნა მუნიციპალური ა(ა)იპ-ები და ისინი წარმოადგენენ ადგილობრივ დონეზე უპირველეს ადმარულელებელ პასუხისმგებელ სტრუქტურებს, როგორც ნარჩენების მართვის, ასევე მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია, რომ ნარჩენების მართვისას ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვა გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ნარჩენების მართვის ისეთი სერვისებით, როგორცაა - მათ საცხოვრებელ ზონებში მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის სანაგვე ურნების განთავსება, ნარჩენების ყოველდღიური გატანა, ნაგვის ურნების ინფრასტრუქტურული გამართულობა, ნაგვის ურნების რეცხვა/დამუშავება სპეციალური ხსნარების საშუალებით და შესაბამისი ჰიგიენური სტანდარტების დაცვით, დახურული ნაგავმზიდებით მომსახურება, ხარისხიანი და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული სერვისის შექმნა და ა.შ.

ამ სტრატეგიიდან გამომდინარე, 2017-2018 წლებში, ყველა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები, რომლებიც

შესაბამისობაშია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებსა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ძირითად მიზნებთან და ამოცანებთან. შესაბამისად, არსებული მდგომარეობით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკუთარი ხუთწლიანი გეგმა და ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა მართონ მუნიციპალური ნარჩენები საკუთარ მუნიციპალიტეტების ურბანულ და სასოფლო არეალებში და როგონ გახადონ ზოგადი მდგომარეობა 2017 წლამდე არსებულ სიტუაციაზე უკეთესი.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით არსებული მიდგომების გარკვეული განსხვავებულობისა, ზოგადი პრინციპები თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს საერთო აქვს, რაშიც უპირველესად მოიაზრება სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა, სანაგვე ურნების და მომსახურების არეალის გაზრდა, მეტი მოქალაქისთვის მომსახურების გაწევა, მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდა და ნარჩენების სეპარირება.

ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი ამოცანების გარდა, თითოეულ მუნიციპალიტეტს საკუთარი რეალობიდან გამომდინარე, დამატებული აქვს მცირედით განსხვავებული ამოცანები.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის „უფლებების ამოქმედება“ ფარგლებში ნაწარმოები კვლევითი სამუშაოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვისას ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული სიტუაციის შეფასება.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის მოსამზადებლად ნაწარმოები სამაგიდო კვლევისას ცალ-ცალკე გაანალიზდა საკითხთან დაკავშირებული გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციები, ორივე მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ბაზა, სტრატეგიული დოკუმენტები და ნარჩენების მართვის ადგილობრივი სიტუაცია, რის საფუძველზეც მომზადდა მონიტორინგის ანგარიში, სადაც თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის სამაგიდო კვლევის ანალიზი ცალკ-ცალკე ქვეთავების სახით არის წარმოდგენილი.

გორის მუნიციპალიტეტის სამაგიდო კვლევის ანალიზი

გორის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საინტერესო გეოგრაფიულ არეალს თავისი კულტურულ-ისტორიული მრავალფეროვნებით. იგი განთავსებულია შიდა ქართლის ვაკეზე და მისი ფართობი შეადგენს 230,837 ჰა-ს. გორის მუნიციპალიტეტის ძირითადი მდინარეებია მტკვარი, ლიახვი, მეჯუდა, ტანა და თეძამი.

მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ერთი ურბანული ერთეული, ქალაქი - გორი და 104 სოფელი. მოსახლეობის რაოდენობა 2014 აღწერის მონაცემებით შეადგენს 125743.

გორის მუნიციპალიტეტის დარგობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სოფლის მეურნეობა, შიდა მეურნეობის გადამუშავება, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგებულობა, ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა და სხვა მომსახურება. ეკონომიკის ძირითადი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა.

გორის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვნად პრიორიტეტულია ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემცირების და მუნიციპალური ნარჩენების მართვისას თანამედროვე მიდგომების დანერგვის საკითხები.

გორის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“ (2018-2022 წ.წ.), რომელიც დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 29 დეკემბერს N41 განკარგულებით.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს, როდესაც მუშავდებოდა „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“, გორს ჰქონდა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მინიჭებული, თუმცა ქალაქში შემავალ 104 სოფელზე სრულად ვრცელდებოდა ის სამოქმედო გეგმა, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2017 წლის დეკემბერში.

2017 წელს ქალაქ გორს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმდა. მიუხედავად თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმებისა, არ მოხდა მუნიციპალური ნარჩენების პოლიტიკის ცვლილება.

გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა დაფუძნებულია ნარჩენების მართვის საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ პრინციპებზე და შესაბამისობაშია ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასთან, სამოქმედო გეგმასა და ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებთან.

გორის მუნიციპლური ნარჩენების მართვის ხუთწლიან გეგმაში კარგად არის განსაზღვრული ნარჩენების შეგროვების ზოგადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთან, მუნიციპალური ნარჩენები უნდა შეგროვდეს, ტრანსპორტირებული იქნეს და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს გარემოს დაბინძურებას და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმაში (2018-2022 წ.წ.) ასევე დაწვრილებით არის აღწერილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანის არსებული მდგომარეობა, გაკეთებულია საჭიროებების შესაბამისი ანალიზი და დასახულია სტრატეგიული მიზნები მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიან გეგმაში კარგად არის ჩამოყალიბებული ხედვა და განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრა;
- ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა;
- ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობის და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების მართვის ხარჯის სრული ამოღება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის კუთხით;

გორის მუნიციპალური ნარჩენების გეგმა ასევე ითვალისწინებს ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემის ეტაპობრივ დანერგვას და განხორციელებას, მათი შემდეგი გადამუშავების მიზნით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის და 2016-2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმის მიზნების მიღწევას ადგილობრივ დონეზე.

გორის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია ასევე მოიცავს არსებული სიტუაციების შეფასებას, არსებული მდგომარეობის მომხილვას და სასურველი მდგომარეობის მიღწევას, სადაც ასევე გათვალისწინებულია იმ მისაღწევი შედეგების საზომი ინდიკატორებიც, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შესრულებული უნდა იყოს.

დასახული სტრატეგიიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის 5 წლიანი ნარჩენების მართვის გეგმა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება;
- ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის, როგორც მოსახლეობის, ისე კომერციული ობიექტების და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისთვის, კომერციული ობიექტების და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა:
 - მუნიციპალური ნარჩენები 90% 2020 წლისთვის;
 - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისათვის;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლისთვის;
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - ქაღალდი 30% 2020 წლისთვის;
 - პლასტიკი 30% 2020 წლისთვის;
 - მინის 20% 2020 წლისთვის;
 - მეტალის 70% 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.
- გორის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე.¹

გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში ჩამოთვლილი 10 ამოცანა სრულად უნდა შესრულდეს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ამოცანა, გარდა იმისა, რომ ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასევე ორიენტირებულია ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვა, საკმაოდ ახალია, რადგან იგი საქართველოსთვის ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დადგა დღის წესრიგში, შესაბამისად ამ მხრივ ბევრი გამოწვევაა, არა მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიმართულებით, არამედ ეროვნულ დონეზე ნებისმიერ სფეროში.

ყურადღება გასამახვილებელია გორის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვის თვალსაზრისით განხორციელებული პოზიტიური ქმედებები, რადგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდა რამდენიმე სტიქიური ნაგავსაყრელის რემედიაცია/დახურვა, გარდა ამისა შესამჩნევად გაიზარდა სანაგვე ურნების რაოდენობა და 2022 წლის აგვისტოს მონაცემებით გორის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლების 79 ლოკაცია უზრუნველყოფილია 1460 ნაგვის ურნით. გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტმა შესამჩნევად გაზარდა ნარჩენების შეგროვების და გამოტანის მაჩვენებელი, რითაც უზრუნველყო ტრანსპორტირების ეფექტური სისტემის დანერგვა მისი ადმინისტრირების ქვეშ მყოფ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე.

საბოლოო ჯამში, 2022 წლის აგვისტოსთვის მდგომარეობით მყარი ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური მომსახურებით სარგებლობს გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 70%. მუნიციპალიტეტის 104 სოფლიდან მომსახურება სრულად 68 სოფელს მიეწოდება კონტეინერული სისტემით.

მნიშვნელოვანია, რომ გორის მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის კუთხით ბევრი რამ გაკეთდა. მუნიციპალიტეტის ურბანულ და სასოფლო დასახლებებში პერიოდულად ხდება ახალი სანაგვე ურნების დამატება, სპეციალური მანქანებით რეგულარულად გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ეწყობა

¹ გორის მუნიციპალიტეტის 2017-2022 წლების ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა.

დასუფთავების აქციები. მიუხედავად ამ პროგრესისა, გარემოს დაბინძურება მუნიციპალიტეტისთვის კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა.

გარდა ამისა, ისევ გამოწვევად რჩება არასაკმარისი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან ჯერ კიდევ სათანადოდ არ მიმდინარეობს ნარჩენების გატანა და ბევრ სასოფლო არეალში არ არის საკმარისი რაოდენობის ნაგვის ურნა, რის გამოც საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარკვეული ნაწილი სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ხვდება. სამწუხაროდ, კვლავ ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ქუჩებში, მინდვრებსა და მდინარეებში ყრის, რაც აბინძურებს გარემოს, აზიანებს წყლის ეკოსისტემას და ბიომრავალფეროვნებას.

მიუხედავად გარკვეული წარმატებების და ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვის მიმართულებით პოზიტიურად გადადგმული ნაბიჯებისა, გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების გეგმით დასახული რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა ვერ შესრულდა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, რასაც ერთის მხრივ ხელი შეუშალა გლობალურმა პანდემიამ და მისმა გავლენამ, ხოლო მეორეს მხრივ მოსახლეობის მხრიდან მოსაკრებლის გადახდის უგულებელყოფამ.

იმისთვის, რომ კარგად გაანალიზებულიყო, თუ რატომ ვერ შესრულდა 2018-2022 მუნიციპალური ნარჩენების გეგმით დასახული ამოცანები, პროექტის „უფლებების ამოქმედება“ მენეჯმენტის გუნდმა გამოითხოვა ნარჩენების მართვის მიმართულებით განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში, რომლის საპასუხოდ გადმოგვიზავნილი იქნა შემდეგი ინფორმაცია: „გორის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის მონიტორინგის ანგარიშის დოკუმენტი არ შემუშავებულა“

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმიდან ვერ შესრულდა სეპარირების და სეპარირებული ნარჩენების გადამუშავების ამოცანები, ასევე ვერ დაინერგა მოსაკრებლის ამოღების ეფექტიანი სისტემა, რაც ასევე დასტურდება პროექტი გუნდისთვის გადმოგზავნილი საჯარო ინფორმაციით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 21 დეკემბერს მიღებული №54 დადგენილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკურ პირებზე დადგენილია ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 1 სულზე 0.5 ლარი, მაგრამ ოჯახზე არაუმეტეს 2.0 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის მათი კატეგორიების და საქმიანობის მიხედვით; ამ რეგულაციებზე დაყრდნობით გორის მუნიციპალიტეტში მოსაკრებლის ამოღების საშუალო მაჩვენებელი 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით 49.80 %-ია;

მოსახლეობის მხრიდან მოსაკრებლის სრულად ამოღების პრობლემებს ემატება ის გარემოებები, რომ გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი ტარიფი არ არის შესაბამისობაში გაწეული მომსახურების დანახარჯებთან. გარდა ამისა, მოსაკრებლის სრულად ამოღება ასევე ფერხდება საზოგადოების მხრიდან არასათანადო მხარდაჭერის და არასრულყოფილი კანონდსრულების გამო.

საგულისხმოა, რომ გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმით დასახული მოსაკრებლის სრულად ამოღება, რომ შესრულებულიყო, მას ბუნებრივად მოყვებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან სუბსიდირების თანხის შემცირება. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით გაირკვა, რომ:

1. ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის სააგენტოს“ დასუფთავების განყოფილებაზე 2020 წელს გაიხარჯა 1 800 000 ლარი, ხოლო ხელშეკრულებებიდან შემოსულობებმა შეადგინა 104 203 ლარი.
2. 2021 წელს დასუფთავების განყოფილებაზე გაიხარჯა 2 395 370 ლარი, ხოლო ხელშეკრულებებიდან შემოსულობებმა შეადგინა 139 736 ლარი.
3. 2022 წელს დასუფთავების განყოფილებაზე გაიხარჯა 2 550 000 ლარი, ხოლო ხელშეკრულებებიდან შემოსულობებმა შეადგინა 159 033 ლარი.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, საკმაოდ მაღალია გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სუბსიდირებისთვის გამოყოფილი თანხა, მაგრამ თუ შემცირდებოდა სუბსიდირების თანხები, ამ თანხებით შესაძლებელი გახდებოდა არსებული მდგომარეობის და მართვის სისტემის გაუმჯობესება, სანაგვე ურნების რაოდენობის და ხარისხის გაზრდა და უკეთესი სეპციალური ტექნიკის შეძენა/დამატება.

გარდა ამისა, სამწუხაროა, რომ მოსაკრებლის ამოღების მიმართულებით, არ განხორციელდა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, არ მოხდა მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება, ასევე მოსახლეობას არ მიეწოდა ინფორმაცია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება/კომპოსტირებასთან დაკავშირებით და ვერ დაინერგა კომპოსტირების მექანიზმები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის მხრიდან მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი გაზრდილია.

გორის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციაა ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ და ასევე, გორის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის

მოსაკრებლის კონტროლის განყოფილება.

ზოგადად, საქართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოს ეკისრება. ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, მათ შორის, მათ მშენებლობაზე, ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე, ნარჩენების გადამტვირთ სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარები ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც, საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე და ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე საკუთარ ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში ასახულია ის პერსპექტივები, რომლებიც სამომავლოდ მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვის და სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2017-2022 წლების გეგმაში ვკითხულობთ: **„მუნიციპალიტეტი გეგმავს ევროპული მაგალითების საფუძველზე, მოახდინოს მათი გამოცდილების გაზიარება და დანერგვა ნარჩენების მართვის სფეროში“**. ამდენად, ეს სტრატეგია საშუალებას მისცემს გორის მუნიციპალიტეტს, მოახდინოს ნარჩენების სეპარირება, მათი რეალიზება და მიღებული შემოსავლების ჩაბრუნება ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებაში, რაც გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვას და ადგილობრივი მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის დასუფთავების სერვისების გამოყენებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს იმ პრობლემების შემცირებას, რამაც გამოიწვია 2018—2022 წლების ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის ნაწილობრივ შეუსრულებლობა.

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევების, თუ გორის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვა არსებული სტრატეგიის მიხედვით გაგრძელდება, დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მომდევნო ხუთწლიანი (2023-2027 წ.წ.) სამოქმედო გეგმის ამოწურვამდე მოხდეს 2018—2022 წლების ნარჩენების მართვის გეგმის მიუღწეველი ამოცანების შესრულება.

ქარელის მუნიციპალიტეტი სამაგიდო კვლევის ანალიზი

ქარელის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ თემს შიდა ქართლის რეგიონში. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, 1 დაბა და 81 სოფელი², რომლებიც გაერთიანებულია თვითმმართველობის 18 ადმინისტრაციულ ერთეულში.

მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1,092.1 მ²-ს. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქალაქი ქარელი.

ქარელის მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ძამა, დასავლეთის ფრონე, შუა ფრონე და აღმოსავლეთის ფრონე³. მუნიციპალიტეტის მთიან ნაწილში მთავარი მდინარეა ძამა მრავალი შენაკადებითა და შემდგენელით. აღნიშნული წყლის რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის სარწყავი და სასმელი წყლით მომარაგების მიმართულებით.

ქარელის მუნიციპალიტეტში სულ ირიცხება 36,205 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის 18,800 ჰექტარი სახნავი, 5,642 ჰექტარი (საკარმიდამო ნაკვეთების ჩათვლით) მრავალწლოვანი, 1,676 ჰექტარი სათიბი და 10,087 ჰექტარი სამოვარი⁴.

მუნიციპალიტეტში სტაბილურად ვითარდება მეცხოველეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა.

მუნიციპალიტეტში არსებობს დოლომიტების (სოფელი აბანო), კირქვის (სოფელი აბანო), სამშენებლო ქვიშა-ხრემის (აგარა, არადეთი, ბებნისი, ქარელი) საბადოები.

ქარელის მუნიციპალიტეტში არის სამი მოქმედი კარიერი: დაბა აგარაში, სოფ. არადეთსა და სოფ. ბებნისში. მდინარე მტკვრის სანაპიროზე არის ყოფილი ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი 3 ჰექტარია.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში⁵ განაწილებულია საყოველთაო აღწერის ბოლო, 2014 წლის მონაცემებით ქარელის მუნიციპალიტეტის

²ქარელის მუნიციპალიტეტში 15 სოფელი მდებარეობს კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო 27 სოფელს მინიჭებული აქვს მთის სტატუსი.

³პატარა მდინარეებიდან აღსანიშნავია: დოდურა (დასავლეთის ფრონის მარცხენა შენაკადი).

⁴საქართველოს მთავრობის მიერ მცირე მიწიან ფერმერთა დასახმარებლად განხორციელებულმა პროგრამამ რადიკალურად შეცვალა მდგომარეობა აგარაზე სექტორში. 2015 წელს მიწის 14,500-ზე მეტმა მესაკუთრემ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული დახმარება. მუნიციპალიტეტში 2015 წელს სულ დამუშავებულ იქნა 17,547 ჰექტარი (93%) სახნავი მიწა.

⁵რომელთაგან ერთი ქალაქია და ერთი დაბა, დანარჩენი 16 - სასოფლო ტერიტორიული თემები.

ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ ქარელში, ცხოვრობს - 6,654 (16.1%), დაბა აგარაში - 3,364 (8.1%), მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად - 31,298 კაცი (75. 8%);

ქარელის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობრივი განაწილება შეჯამებული და წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილის სახით: (იხ. ცხრილი#1):

მოსახლეობის რაოდენობა	დასახლების რაოდენობა
ქალაქი 5.000 კაცზე მეტი მოსახლეობით	1
დაბა 3,000 კაცამდე მოსახლეობით	1
სოფელი 5,000 კაცზე მეტი მოსახლეობით	1
სოფელი 2,000- 5,000 კაცამდე მოსახლეობით	2
სოფელი 1,000-დან - 2,000 კაცამდე მოსახლეობით	4
სოფელი 500-დან - 1,000 კაცამდე მოსახლეობით	9
სოფელი 100-დან - 500 კაცამდე მოსახლეობით	34
სოფელი 100 კაცზე ნაკლები მოსახლეობით	9
მოსახლეობისგან დაცლილი სოფელი	20

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია. მუნიციპალიტეტში ასევე ცხოვრობენ ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები და სხვა.

მოსახლეობის დასაქმების ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო ბიზნესი, ვაჭრობა და საჯარო სამსახური.

ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა ადგილობრივმა საკრებულომ 2017 წლის 24 ნოემბერს დაამტკიცა #79 განკარგულებით.

ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპების და მიდგომების მიხედვით. აღნიშნული გეგმა ასევე მიზანად ისახავს ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავებას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, კომერციული ობიექტების და ადგილობრივი საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვების და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების რემედიაციას, მომავალში ასეთი ადგილების განვითარების პრევენციას და ამ კუთხით ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევებში ეფექტიანი საქმის წარმოებას, ასევე, სერვისის მიწოდების ხარჯების ამოღების ეფექტიანი სისტემის დანერგვას.

აღნიშნული გეგმა აგრეთვე მიზნად ისახავს, მუნიციპალიტეტში ნარჩენების

სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვას და გამართულ ფუნქციონირებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის 2016–2013 და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2016–2020 მიზნების და ამოცანების მიღწევას მუნიციპალურ დონეზე.

გორის მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით ქარელის მუნიციპალიტეტს საკუთარ ნარჩენების მართვის გეგმაში დამატებული აქვს რამდენიმე განსხვავებული ამოცანა, (სულ 13 ამოცანა), რომლებიც ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2018 წლისათვის;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლების, ისე კომერციული ობიექტების და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
 - მუნიციპალური ნარჩენები 90% 2020 წლისთვის;
 - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2020 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების წინააღმდეგ ოპერატიული მოქმედება და ასეთი კერების გაჩენის პრევენცია;
- ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშეწყობის საქმიანობების განხორციელება (კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);
- ქაღალდის, და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2020 წლისთვის;
- ქაღალდის, და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

- ქალაქი 30% 2020 წლისთვის;
- პლასტიკი 30% 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით;
- ქარელის მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების უზრუნველყოფა 2020 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების უზრუნველყოფა 2018-2022 წლისთვის; მუნიციპალიტეტის მიერ აქტიურად იქნება გამოყენებული კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;
- ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევებში ეფექტიანი საქმის წარმოება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური ამუშავება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე, მათი მომზადება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვის კუთხით;⁶

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები თითქმის ანალოგიურია გორის მუნიციპალიტეტის ამოცანების, რადგან როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ყველა მუნიციპალიტეტს საქართველოს ტერიტორიაზე აქვს ნარჩენების მართვის თითქმის ერთნაირი შაბლონური გეგმა.

გარდა ამისა, გეგმების იდენტურობა ასევე გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმები მომზადდა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) პროგრამის⁷ ფარგლებში. შესაბამისად, როგორც გორის, ასევე ქარელის მუნიციპალიტეტებს საკუთარი რეალობიდან გამომდინარე შეტანილი აქვთ მხოლოდ მცირედი ცვლილებები. თუმცა ამ გეგმებში წარმოდგენილი მონაცემებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ საჭიროა დამატებითი კვლევების განხორციელება, იმის გამოსარკვევად, თუ რატომ ვერ მოხერხდა ვერც გორის და ვერც ქარელის მუნიციპალიტეტებში ნარჩენების სეპარირების პროცესის დაწყება მაშინ, როცა ორივე მუნიციპალიტეტს ხუთწლიან გეგმებში გარკვევითაა განსაზღვრული ნარჩენების

⁶ ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლის გეგმა, 2017 წელი.

⁷ პროგრამა „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) ხორციელდებოდა ქალაქებისა და საგრაფოების მართვის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მიერ ადგილობრივ ქვე კონტრაქტორ ორგანიზაციასთან – CENN-თან თანამშრომლობით USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით.

სეპარირების საკითხი და რატომ არ გაითვალისწინეს, რომ გეგმის შედგენის პერიოდში არც გორის და არც ქარელის მუნიციპალიტეტში არ არსებობდა სეპარირებისთვის არც საკანონმდებლო ბაზა და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა ასევე შედგენელია იმ საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მუნიციპალიტეტებს 2017 წელს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად დაავალდებულა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქარელის მუნიციპალიტეტის ამოცანები, მცირედით განსხვავდება გორის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანებისგან, კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადასამუშავებლად შესაგროვებელ ნარჩენები არ ითვალისწინებს მინას და მეტალს. აქედან გამომდინარე, ქარელის მუნიციპალური ნარჩენების ხუთწლიანი გეგმა მხოლოდ ქაღალდის და პლასტიკის შემცირებაზეა ორიენტირებული.

ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის და ეკონომიკური განვითარების სამსახურები.

ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის თანამშრომლების აყვანას ნარჩენების შეგროვების და გატანის პროცესში ჩართული ორგანიზაცია თავად ახდენს, ამასთან, უკვე აყვანილი თანამშრომლების ტრენინგი და მათი უნარ-შესაძლებლობების გაზრდა ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის სამსახურის“ და ასევე მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობას წარმოადგენს. წლის განმავლობაში დაახლოებით ერთჯერ ან ორჯერ გადიან ტრენინგს, როგორც ა(ა)იპ-ის თანამშრომლები, ასევე მუნიციპალიტეტის იმ სამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულები არიან ნარჩენების მართვის ზედამხედველობის საკითხებზე მუშაობაში.

აღსანიშნავია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის განხორციელების პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდა ახალი სანაგვე ურნების დამატება, განახლდა ავტოპარკი და სტრატეგიის ამოცანების შესაბამისად დაიწყო მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელება.

გარდა ამისა, ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ აღირიცხება ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილები, (საუბარია მნიშვნელოვან კერებზე). ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის სამსახურის“ მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში არსებული ნარჩენების განთავსების მსხვილი კერების გაწმენდა და ამ მიმართულებით მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს. კონრეტულად: დამზადდა გამაფრთხილებელი ბანერები და დაიდგა იმ სტიქიურ ნაგავსაყრელებზე,

რომლებიც გაიწმინდა მუნიციპალიტეტის მიერ. გარდა ამისა, დანაგვიანებასთან დაკავშირებით არსებულ ჯარიმებზე და შესაბამის სანქციებზე დამატებით მოხდა მოსახლეობის გაფრთხილება სოფლებში გამგებლის წარმომადგენლების და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ.

პროექტის „უფლებების ამოქმედება“ მენეჯმენტის გუნდის მიერ ქარელის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (61 დისლოკაცია) სულ განთავსებულია 1442 ურნა (აქედან 1200 ურნა სასოფლო არეალებშია განთავსებული), საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა ხდება გრაფიკის მიხედვით (*თუმცა არ არის დაკონკრეტებული ნაგვის გატანის პერიოდულობა*), თუმცა მოგვიანებით გამოქვეყნებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში გატანის პერიოდულობაში აღნიშნულია, რომ სასოფლო არეალებიდან ნაგვის გატანა ხდება კვირაში 1-2-ჯერ, ხოლო ქარელსა და დაბა აგარიდან ყოველდღიურად.

ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობა განსაზღვრულია საკრებულოს 2012 წლის 6 იანვრის N 1 დადგენილებით, მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი 78%-ია; ნაგავშიდები მხოლოდ დახურული ტიპისაა და მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მუნიციპალიტეტის სოფლებში ნაგვის ურნების დამატება, ან ჩანაცვლება ხდება საჭიროების მიხედვით.

მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში დაფიქსირებული მოსაკრებლის ამოღების ამ (78%) მაჩვენებელში ვვარაუდობთ, რომ ერთად არის დაჯამებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადახდილი მოსაკრებელი. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ასევე მოგვიანებით გამოქვეყნებულ სხვადასხვა ოფიციალურ სტრატეგიულ დოკუმენტებში მოსახლეობის მხრიდან ამოღების მაჩვენებელად დაფიქსირებულია 30% და 40%.

ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის საკითხების მონიტორინგის განხორციელებისას გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ქარელის მუნიციპალიტეტი არის შიდა ქართლის რეგიონში ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომელსაც არ აქვს საკუთარი მუნიციპალური ნაგავსაყრელი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულ ნარჩენების განთავსებას ახდენს გორის და ხაშურის მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხრიდან, ნარჩენების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი შედარებით მაღალი, 78%-ია (თუმცა ამ მონაცემებს აკლია დამაჯერებლობა) და მკვეთრად აღემატება გორის მუნიციპალიტეტში მოსაკრებლის 49,80%-იან მაჩვენებელს.

ამოცანები, რომლებიც ვერ შესრულდა ქარელის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მსგავსად გორის მუნიციპალიტეტისა, არის ნარჩენების სეპარირების საკითხი. ასევე ვერ დაინერგა კომპოსტირების და მოსაკრებლის ამოღების ეფექტიანი სისტემები. მიუხედავად იმისა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტში, გორის

მუნიციპალიტეტთან შედარებით მაღალია მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი, იგი მაინც არ არის ეფექტური, რადგან ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას ჯერ კიდევ უწევს მისი სუბსიდირება, რაც ასევე დასტურდება ქარელის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციით, კერძოდ:

1. მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე 2020 წელს დაიხარჯა 869 043 ლარი, 2021 წელს 1 123 598 ლარი და 2022 წელს 1 374 530 ლარი.
2. ნარჩენების მართვიდან 2020 წელს შემოსულობები იურიდიული პირებისგან და ფიზიკური პირებისგან იყო 110 959.30 ლარი;
3. 2021 წელს შემოსულობები იურიდიული პირებისგან და ფიზიკური პირებისგან იყო 121 201.67 ლარი;
4. 2022 წელს შემოსულობები იურიდიული პირებისგან და ფიზიკური პირებისგან იყო 196 364.94 ლარი;

მნიშვნელოვანია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტს სამომავლო სტრატეგიაში საკმაოდ სტრუქტურირებულად აქვს განსაზღვრული ნარჩენების სეპარირების და გადამუშავების პროცედურები, ასევე მისი პოპულარიზაცია და მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, რასაც კარგად ადასტურებს შემდეგი ჩანაწერი:

„მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა მოახდინოს იმ კომპანიებთან მოლაპარაკებები, რომელიც დახარისხებულად შეგროვებული ნარჩენის გატანით დაინტერესდებიან. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს საცავი შეგროვებული ნარჩენის დასაწყობების მიზნით, სადაც კომპანია მოახდენს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მოწყობილობების დამონტაჟებას. წინასწარ უნდა მოხდეს მოლაპარაკება ფასზე და ნარჩენის შესყიდვის პროცედურებაზე (სავარუდოდ ნარჩენების მიყიდვა უნდა მოხდეს პირდაპირი წესით).“

აუცილებელია სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის ტრანსპორტირება ხდებოდეს მუნიციპალიტეტის სპეციალურად ბრენდირებული ავტოტრანსპორტით, რათა მოსახლეობა ხედავდეს, რომ ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება ცალკე სპეციალურად გამოყოფილ საცავში. გამომდინარე იქიდან, რომ ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს წამყვანი ადგილი ორგანულ ნარჩენებს ეკავა, მნიშვნელოვანია კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია საერთო სარგებლობის (რამდენიმე ფერმერის გაერთიანება) საკომპოსტე ადგილების მოწყობა.“⁸

ზემო თქმულიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას, ბიზნეს სექტორის დაინტერესების შემთხვევაში, გამოყოს შესაბამისი სივრცე სეპარირებული ნარჩენების შესაგროვებლად.

⁸ ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების სტრატეგია, 2017 წელი.

მნიშვნელოვანია, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმაში ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვა ნარჩენების შეგროვების კუთხით, დამაკმაყოფილებლად გამოიყურება, თუმცა ამ ეტაპზე, კანონის შესაბამისად ამ საკითხის იმპლემენტაცია ვერ ხერხდება, რისი გამომწვევი მიზეზიც არის ფუნდამენტური და საჭიროებს დამატებით კვლევებს ზუსტი მიზეზების საპოვნელად. თუმცა სამაგიდო კვლევებიდან გამოიკვეთა, რომ მიზეზები ურთიერთ ლოგიკურ ჯაჭვს ქმნიან, რაც არღვევს ერთის მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებებებს, ხოლო მეორეს მხრივ ნაწილობრივ უმოქმედოს ხდის კანონმდებლობას.

მიუხედავად გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმების მსგავსების და განსხვავებისა, საინტერესო სურათი წარმოადგინა რაოდენობრივმა კვლევამ, რომელიც უშუალოდ მუნიციპალური სერვისების მიმღებებთან ჩატარდა და მოგვცა გაზომვადი და ხელშესახები მონაცემები, რომელიც მათ განწყობებს ეფუძნება.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები და არსებული სიტუაციის სტატისტიკური მდგომარეობა წარმოდგენილია მომდევნო თავში.

რაოდენობრივ კვლევის ანალიზი გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში

პროექტის „უფლებების ამოქმედება“ ფარგლებში მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა 2022 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით.

როგორც ზემოთ ავლინებთ კვლევის დაწყებამდე გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის მერიებიდან გამოთხოვილი იქნა ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები, 2018-2022 წლების გეგმების შესრულების ანგარიშები და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საჯარო ინფორმაცია, რომელთა კარგად გაანალიზების და შეფასების შემდეგ შემუშავებული იქნა სტრუქტურირებული საველე კითხვარი.

კითხვარის ფინალური ვერსიის შედგენამდე, სტატისტიკის ეროვნული განყოფილებიდან ასევე გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რათა რელევანტული ყოფილიყო, როგორც რესპონდენტთა გენდერული ბალანსი, ასევე რესპონდენტთა რაოდენობა.

მონიტორინგისთვის კვლევა განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის რვა (ატენი, ხიდისთავი, ტყვიავი, ტინისხიდი, კარალეთი, ერგნეთი, უფლიციხე, ყელქცეული) და ქარელის მუნიციპალიტეტის შვიდ სოფელში (კეხიჯვარი, რუისი, ქვენატკოცა, ურბისი, აგარა, მოხისი, არადეთი).

საველე კვლევითი სამუშაოების ფარგლებში პირისპირ, ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით გამოიკითხა 320-ზე მეტი რესპონდენტი. აღნიშნული მეთოდით კვლევის ცდომილება შეადგენს $\pm 5\%$ -ს.


პროექტის „უფლებების ამოქმედება“ მენეჯმენტის გუნდის მიერ შემუშავებული სტრუქტურირებული კვლევის კითხვარი დაყოფილია შვიდ ძირითად ბლოკად და კვლევის თითოეული ბლოკი კონკრეტულ თემატიკას ითვალისწინებს.

კითხვარის პირველი ბლოკი მოიცავს შესავალ ნაწილს, რიცხვი/თვე, ინტერვიუს დაწყების და დასრულების დრო, მუნიციპალიტეტი, თემი, სოფელი, უბანი და ქუჩის დასახელება და ინტერვიუერის ვინაობა.

მეორე, ბლოკი **B** ითვალისწინებს ისეთი კონკრეტული დემოგრაფიული მონაცემების შეყვანას, როგორცაა სქესი, ასაკი, ეკონომიკური სტატუსი და ა.შ.


ბლოკი **B**-ს მიხედვით რესპონდენტების 53% იყო ქალი, ხოლო 47% მამაკაცი. ასაკის მიხედვით რესპონდენტების 8% იყო 18-29 წლის, 9% - 30-35 წლის, 20% - 36-50 წლის, 25% -

51-59 წლის, 39% - 60 და მეტი წლის, (იხ. დიაგრამა#1):



დიაგრამა #1

ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა 8% დასაქმებულია საჯარო სექტორში, 28% კერძო სექტორში, ან დასაქმებულია სეზონურად, 34% - პენსიონერია, 4% - სტუდენტი, ხოლო 27% - უმუშევარია. დასაქმების კუთხით განსხვავება მუნიციპალიტეტების მიხედვით არ გამოიკვეთა და თითქმის იდენტურია პროცენტული მაჩვენებლები, (იხილეთ დიაგრამა #2):



დიაგრამა #2

კვლევის მესამე ბლოკი C ითვალისწინებს ურნების განთავსების და მდგომარეობის შესწავლას.

ბლოკი C-ს ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენს, რამდენად ახლოსაა განთავსებული ნაგვის ურნები რესპონდენტთა საცხოვრებელ გარემოში და რა სიახლოვესაა ისინი რესპონდენტების საცხოვრებელ სახლებთან.

ბლოკი C-ს მიხედვით გამოკითხულთა 96%-მა აღნიშნა, რომ მათ საცხოვრებელ გარემოში განთავსებულია ნაგვის ურნები, ხოლო რესპონდენტთა 4%-მა დააფიქსირა, რომ მათ

საცხოვრებელ გარემოში არ არის ნაგვის ურნები.


საცხოვრებელ სახლებთან ნაგვის ურნების დაშორებას ასევე ადასტურებს მუნიციპალიტეტების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ ზოგიერთ სოფლებში არის ვიწრო უბნები და არსებული ტექნიკით შეუძლებელია ნაგავმზიდებით მომსახურება (ნაგავმზიდი მანქანის დიდი გაბარიტების გამო).

ბლოკი C-ს შემდეგ კითხვაზე, თუ რამდენად ახლოსაა ნაგვის ურნები მათ საცხოვრებელ სახლთან, რესპონდენტთა 72%-მა დააფიქსირა, რომ ნაგვის ურნები განთავსებულია 200 მეტრით, ან უფრო ნაკლები სიახლოვით, 16%-მა აღნიშნა, რომ ურნები განთავსებულია 201-400 მეტრის მოშორებით, 9%-მა ურნების დაშორების მანძილი დაასახელა 401-600 მეტრი და მხოლოდ 3%-მა აღნიშნა, რომ ურნების დაშორების მანძილი 601-800 მეტრია.

რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხებით მიღებული ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, მოქალაქეები ინტერვიუებთან პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ არ სურთ მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს იყოს განთავსებული ურნები, რადგან ფიქრობენ, რომ ნარჩენების უსიამოვნო სუნით მკვეთრად დაბინძურდება ჰაერი, (განსაკუთრებით გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში) და დაბინძურებული გარემოს გამო დიდი რაოდენობით მოხდება ბუზების, მწერების, ქვეწარმავლების და ადამიანების ჯანმრთელობისთვის საშიში სხვა მავნებლების გავრცელება. ყოველივე ამის გამო ურჩევენიათ, რომ შედარებით მოშორებით იყოს ნაგვის ურნა განთავსებული, მაგრამ სასურველია გაიზარდოს კონკრეტულ ადგილებზე მათი რაოდენობა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ქარელის მუნიციპალიტეტში არის ისეთი ლოკაციები, სადაც 50-60 ოჯახზე (დაახლოებით 200 მოქალაქე) მხოლოდ ერთი ურნაა განთავსებული. მაგალითად, სოფელ რუისში (ე.წ. „წინ უბანი“, პირველი დასახლება, „ბერუანთ უბანი“) და სოფელ მოხისში.


ბლოკი C-ს შემდეგი კითხვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს ნარჩენების გადაყრასთან დაკავშირებით მოქალაქეთა ქცევის გამოკვლევა. კერძოდ, კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ყრიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, რესპონდენტთა 48%-მა უპასუხა, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენს საჭიროებისამებრ ყრის, 26% კვირაში 2 ან 3-ჯერ, 21%-მა დააფიქსირა ნაგვის გადაყრა ყოველდღიურად, ხოლო კვირაში ერთხელ მხოლოდ რესპონდენტთა 5%-მა დააფიქსირა, (იხ. დიაგრამა #3):



დიაგრამა #3


მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავება აღნიშნულ კითხვაზე იყო ის, რომ ქარელში გამოკითხულთა 3/4-ით მეტი კვირაში 2-3 ჯერ ყრის ნარჩენებს, ვიდრე გორის, ხოლო საჭიროებისამებრ ნარჩენებს გორის მოსახლეობის 2-ჯერ მეტი ყრის, ვიდრე ქარელის მუნიციპალიტეტის.

ბლოკი C-ს შემდეგი კითხვა მოიცავს ურნების მდგომარეობის შეფასებას. ამ მიმართულებით გამოკითხულთა 9%-მა დააფიქსირა, რომ ურნები ისეთი გადავსებული ხვდებათ, რომ შეუძლებელია ნარჩენების მოთავსება მასში, 45%-მა აღნიშნა, რომ ურნები, როდესაც ნარჩენების გადასაყრელად მიდიან ნახევრადაა გადავსებული, 17%-მა დააფიქსირა, რომ დაბინძურებული ურნები ხვდებათ, ასევე 17%-მა აღნიშნა, რომ სუფთა ურნები ხვდებათ, ხოლო სრულად ცარიელი ურნები დააფიქსირა მხოლოდ რესპოდენტთა 11%-მა (იხ. დიაგრამა #4):



დიაგრამა #4

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებას, სუფთა ნაგვის ურნები გორის მოსახლეობის 80%-ით მეტმა დაასახელა, ვიდრე ქარელის მუნიციპალიტეტში გამოკითხულმა მოქალაქემ. გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტში 2-ჯერ მეტ რესპონდენტს დახვედრია ურნები ცარიელ მდგომარეობაში, ვიდრე ქარელის მუნიციპალიტეტში გამოკითხულებს, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტის მცხოვრებ მოქალაქეებს 2-ჯერ მეტად გადავსებული ურნები ხვდებათ, ვიდრე გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გამოკითხულ მოქალაქეებს, შესაბამისად, ნახევრად გადავსებული ურნები უფრო მეტად ქარელის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს ხვდებათ, ხოლო სრულიად გადავსებული ურნები ასევე ქარელის მუნიციპალიტეტის რესპონდენტთა 3/4-ით მეტმა დააფიქსირა, (იხილეთ დიაგრამა #5):



დიაგრამა #5

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სავსე მკვლევარ-ფასილიტატორები სიტუაციის უკეთ შესაფასებლად, ინტერვიუების წარმართვის პარალელურად ახდენდნენ ფოტო დოკუმენტირებას, ხოლო ფოტო დოკუმენტირებისას აღმოჩენილი საგანგაშო, ან საყურადღებო სიტუაციის შემთხვევებისას, ხდებოდა პროექტის მენეჯმენტის გუნდის ინფორმირება. ასეთი ინფორმირების შემდეგ პროექტის გუნდის წევრები მიდიოდნენ აღნიშნულ ლოკაციაზე, რათა განეხორციელებინათ დამატებითი მოიტორინგი.

როგორც სავსე მკვლევარ-ფასილიტატორების, ასევე პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ დაფიქსირებული იქნა ურნების საგანგაშოდ გადავსების და მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების საკმაოდ ბევრი ფაქტი, რომლის დადასტურება შესაძლებელია წარმოდგენილი რამდენიმე ფოტო-მასალით:



სოფელი ქვენატკოცა



დაბა აგარა




სოფელი მოხისი



სოფელი რუისი


ანკეტირების შედეგად იმ რესპონდენტების ქცევის შესაფასებლად, რომლებსაც გადავსებული ხვდებთ ნაგვის ურნები გამოიკვეთა, რომ 41%-ს უკან, სახლში მიაქვთ ნაგავი, 40%-მა აღნიშნა, რომ ძალით ტენიან ურნაში, 10% ყრის ურნის გვერდით, 8% სხვა ურნას ძებნის, ხოლო 1%-მა დააფიქსირა, რომ ნაგავს იქვე, ქუჩაში ყრის, (იხილეთ დიაგრამა #6):



დიაგრამა #6


ამ მიმართულებით გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა შორის ასევე გარკვეული განსხვავება დაფიქსირდა. კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტიდან რესპონდენტების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ ნაგავი უკან მიაქვთ სახლში, ხოლო გორის მუნიციპალიტეტში რესპონდენტთა ასევე თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ძალით ტენის ურნაში ნარჩენებს.

აღნიშნული მესამე ბლოკიდან ასევე ირკვევა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებების უფლებები უფრო მეტადაა შეზღუდული, რადგან ურნები თითქმის მუდმივად გადავსებული ხვდებათ, რაც იწვევს მათი უფლებების დარღვევას, შეუზღუდავად გამოიყენონ ნაგვის გატანის მომსახურება საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზე, (იხილეთ დიაგრამა #7):




შემდეგი ბლოკი D მოიცავს ნარჩენების მართვის და ურნების მდგომარეობის შესწავლას.

ბლოკი D-ს პირველი კითხვა ეხება ნარჩენების გატანის პერიოდულობას. კერძოდ, კითხვები მოიცავს, თუ რა სიხშირით ხდება დასახლებებიდან ნაგვის გატანა. ამ კითხვაზე რესპოდენტთა 39%-მა დააფიქსირა კვირაში ერთჯერ, 30% არ არის ინფორმირებული, 16%-მა დააფიქსირა კვირაში ორჯერ, 14%-მა ყოველდღიურად და მხოლოდ 1%-მა აღნიშნა, რომ ნაგვის გატანა ხდება თვეში რამდენჯერმე, (იხ. დიაგრამა #8):



დიაგრამა #8

მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავება ამ ბლოკშიც საინტერესოდ გამოიყურება, რადგან ნარჩენების ხშირი გატანა გორის მუნიციპალიტეტიდან გამოკითხულთა თითქმის აბსოლიტური უმრავლესობამ დააფიქსირა, ხოლო შებრუნებულად, კვირაში რამდენჯერმე გატანა - ქარელის მუნიციპალიტეტიდან გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, ხოლო არ ვარ ინფორმირებული გორის მუნიციპალიტეტიდან უფრო მეტმა რეპონდენტმა დააფიქსირა, ვიდრე ქარელის მუნიციპალიტეტიდან. ეს სტატისტიკა საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ გორის მუნიციპალიტეტში შესაძლოა დაშვება იმ ალბათობის, რომ ქარელის მუნიციპალიტეტთან შედარებით უკეთესად გამართულია ნაგვის გატანის სერვისი და გადავსებული ურნები საცხოვრებელ ტერიტორიებზე რესპოდენტებისთვის ნაკლებად წარმოადგენს პრობლემას, (იხ. დიაგრამა #9):



დიაგრამა #9

საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ გორის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი ოფიციალური საჯარო ინფორმაციით დასტურდება, რომ საყოფაცხოვრებო ნაგავი მუნიციპალიტეტის არცერთ სასოფლო არეალებიდან არ გააქვთ ყოველდღიურად, რადგან ამავე ინფორმაციით გორის მუნიციპალიტეტის სასოფლო არეალებიდან ყოველ მეოთხე დღეს გააქვთ

საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტიდან პროექტის „უფლებების ამოქმედება“ მენეჯმენტის გუნდისთვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით ნაგვის გატანა ხდება გრაფიკის შესაბამისად, თუმცა არ არის დაზუსტებული რა პერიოდულობას მოიცავს ეს გრაფიკი: კვირაში ერთ დღეს, ორს, სამს, თუ ყოველ მეორე დღეს. გარდა ამისა, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოქვეყნებულ სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში განსხვავებული მონაცემებია წარმოდგენილი. ქარელის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით აღმოჩენილი ბუნდოვანობის გამო, პროექტის მენეჯმენტის გუნდმა დამატებით სხვადასხვა წყაროებიდან მოიპოვა ინფორმაცია და გაირკვა, რომ რეალურად ნარჩენების გატანა ქარელის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებიდან უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ კვირაში ერთჯერ ხდება?!


ბლოკი D-ს შემდეგი კითხვა მიზნად ისახავს, თუ რა ტიპის და მდგომარეობისაა ნარჩენების გატანის ტექნიკა. ამ მიმართულებით დასმულ კითხვებზე რესპონდენტების 68%-მა დააფიქსირა, რომ ნარჩენი გააქვთ დახურული ტიპის სპეციალური ნაგავშიდით, 11% არ დაკვირვებია, 6% აფიქსირებს, რომ ნაგვის გატანა ხდება, როგორც ღია, ისე დახურული მანქანებით, 3%-მა დააფიქსირა, რომ საყოფაცხოვრებო ნაგავი გააქვთ მხოლოდ ღია ტიპის მანქანით და 13%-მა არ იცის როგორი მანქანებით ხდება ნაგვის გატანა.

ბლოკი D-ს შემდეგი კითხვა მოიცავს ურნების დეზინფექციის საკითხს, კონკრეტულად თუ ხდება ურნების რეცხვა/დეზინფექცია სპეციალური ხსნარების საშუალებით და შესაბამისი ჰიგიენური სტანდარტების დაცვით;

მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური ხსნარებით ნაგვის ურნების რეცხვა/დეზინფექციის აუცილებლობა კანონმდებლობით არის გაწერილი და სახელმწიფო შესაბამის უწყებებს ავალდებულებს, რომ სისტემატურად მოახდინონ ნაგვის ურნების რეცხვა/დეზინფექცია.

ამ საკითხის ირგვლივ ჩატარებულ კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 56%-მა დააფიქსირა, რომ არ ხდება ნაგვის ურნების დეზინფექცია, 36% არ დაკვირვებია, 3%-მა დაასახელა, რომ მათ საცხოვრებელ ზონებში თვეში ერთჯერ ირეცხება ურნები, 3%-მა დაასახელა კვარტალში ერთჯერ და ასევე 3%-მა დაასახელა, რომ ურნების დეზინფექცია ხდება კვირაში ერთჯერ (იხ. დიაგრამა #10):

რამდენად ხშირად უტარდება თქვენს საცხოვრებელ უბანში ნაგვის ურნებს დეზინფექცია?



დიაგრამა #10


აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავება შესამჩნევია და უნდა აღინიშნოს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ არ ხდება ნაგვის ურნების არც რეცხვა და არც დეზინფექცია, ხოლო გორის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა ასევე თითქმის აბსოლიტურმა უმრავლესობამ დაასახელა რომ, არ არიან დაკვირვებული ხდება თუ არა ნაგვის ურნების დეზინფექცია.

მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით ნაწარმოები სამაგიდო კვლევისას და სამაგიდო კვლევის დასრულების შემდეგ კიდევ დამატებით გამოთხოვილი და მოწოდებული საჯარო ინფორმაციით გამოვლინდა, რომ არც გორის, და არც ქარელის მუნიციპალიტეტებში არ მიმდინარეობს ნაგვის ურნების რეცხვა-დეზინფექცია, შესაბამისად სავარაუდოა, რომ რაოდენობივი კვლევისას გამოძღვნილი შედეგები, უფრო მეტად ასახვს რესპონდენტთა ვარაუდს და არა რეალურ მდგომარეობას.

რაც შეეხება უშუალოდ ურნებს, გამოირკვა, რომ მათი მდგომარეობა ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია რესპონდენტთა 71%-სთვის, 14%-მა აღნიშნა, რომ ურნები დაბინძურებულია, 6%-მა დააფიქსირა, რომ მათ საცხოვრებლის სიახლოვეს განთავსებულ ურნებს არ აქვთ სახურავი, 5%-მა აღნიშნა, რომ ურნები დაზიანებულია, ან გატეხილია, ხოლო 3%-ს არ აკმაყოფილებს ნაგვის ურნების არსებული მდგომარეობა.

ურნების მდგომარეობის შეფასებისას ასევე გაირკვა, რომ გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში ამ მხრივ შესამჩნევი განსხვავება არ არის. **ბლოკი D**-ს ამ კითხვაზე რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ ორივე მუნიციპალიტეტში არსებული ურნების ნაწილი არის დაზიანებული და დაბინძურებული, რაც იწვევს უსიამოვნო სუნს და დისკომფორტს მოქალაქეებისთვის, (იხ. დიაგრამა #11):

როგორია ნაგვის ურნების მდგომარეობა თქვენს სიახლოვეს?




- დაზიანებულია/გატეხილია
- არ აქვს სახურავი/არ აქვს ფეხები
- დაბინძურებულია
- ნაწილობრივ მაკმაყოფილებს
- არ მაკმაყოფილებს

დიაგრამა #11

შემდეგი ბლოკი E მოიცავს ნარჩენების მართვისას მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას. ამ ბლოკის E.1-ის კითხვზე ნარჩენების მართვისას ირღვევა თუ არა მათი, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებები, რესპონდენტების 24%-მა დააფიქსირა, რომ ხდება მათი უფლებების დარღვევა, ხოლო რესპონდენტების 76%-მა აღნიშნა, რომ არ ხდება მათი უფლებების დარღვევა, (იხ. დიაგრამა #12):


როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები ნარჩენების მართვის მხრივ?



დიაგრამა #12

რაოდენობრივი კითხვარი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ მათი უფლებები ირღვევა, დამატებით კითხვზე პასუხით უნდა დააკონკრეტონ, თუ რა მხრივ ირღვევა მათი, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესები და უფლებები. ამ მიმართულებით გამოკითხულთა 35%-მა აღნიშნა, რომ მუდმივად გადავსებული ურნების გამო, რესპოდენტთა 35%-მა დააფიქსირა,

რომ არ ხდება ნარჩენების დროულად გატანა, 18%-მა აღნიშნა დაბინძურებული გარემო, 6%-მა დააფიქსირა, რომ საფრთხე ექმნება მათ ჯანმრთელობას, ხოლო 5%-მა აღნიშნა, რომ არასათანადო ნარჩენების მართვის მომსახურებით ირღვევა მათი უფლებები, (იხ. დიაგრამა #13):




დიაგრამა #13

ამ ბლოკში სამიზნე მუნიციპალიტეტების მიხედვით რესპონდენტების პასუხები მხოლოდ ბოლო შეკითხვაზე იყო განსხვავებული, კონკრეტულად:

ქარელის მუნიციპალიტეტიდან გამოკითხულთა 2/3-ით მეტმა დაასახელა, ნარჩენების დროულად ვერ გატანა და მუდმივად გადავსებული ურნები, ხოლო გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რესპონდენტების 4/5-ით მეტმა აღნიშნა დაბინძურებული გარემო. აღნიშნული განსხვავება ლოგიკურადაც გამომდინარეობს წინა ბლოკებიდან, რადგან გადავსებული სანაგვე ურნების რაოდენობა პირდაპირ პროპორციულად აისახება მოქალაქეთა განწყობასა და მათი უფლებების დარღვევაზე.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ინტერვიუებთან პირად საუბრებში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არ იციან, ან არ ფლობდნენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ, შესაბამისად რესპონდენტების მიერ ამ კითხვაზე დაფიქსირებული პასუხი, რომ არ ირღვევა მათი უფლებები ნარჩენების მართვისას ძირითადად გამოწვეულია, არა რეალური სიტუაციიდან, არამედ საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების დაბალი დონით. გარდა ამისა, საკუთარ უფლებებზე რესპონდენტთა დაბალი ცნობიერება გამოიხატა იმ გარემოებაშიც, რომ უმრავლესობა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ასევე პირად საუბრებში, აღნიშნავენ, რომ თუ დაადასტურებდნენ უფლებების დაღვევას, ამ პასუხმა არ „გამოიწვიოსო“ ნაგვის გატანის სერვისის შეწყვეტა, ან გაუარესება, (იხ. დიაგრამა #14):




დიაგრამა #14

რაოდენობრივი კვლევის მორიგი ბლოკი H, შეეხება ნარჩენების გატანის მოსაკრებელს, კერძოდ, როგორია მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ქცევა მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით და რა ოდენობის მოსაკრებელია მათთვის სასურველი, ან უნდა იყოს თუ არა ნარჩენების მოსაკრებელი დაწესებული.


პროექტის „უფლებების ამოქმედება“ მენეჯმენტის გუნდის მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით ნარჩენების გატანის მომსახურების მოსაკრებელი გორის მუნიციპალიტეტში დაწესებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილების საფუძველზე, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტში საკრებულოს 2012 წლის 6 იანვრის №1 დადგენილებით, შესაბამისად, ორივე მუნიციპალიტეტის სასოფლო არელების 96% შემთხვევაში დაწესებულია მოსაკრებელი, ხოლო 4%-ში არ არის დაწესებული. მოსაკრებლის არ დაწესება ხშირად დამოკიდებულია სოფლის დასახლების სიმჭიდროვესა და მის სტატუსზე (მაღალმთიანი, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი და ა.შ.).

ბლოკი H-ს ზოგადი შეკითხვის დასმის შემდეგ, რესპონდენტებმა კითხვაზე, თუ რა სიხშირით იხდიან ნაგვის მოსაკრებელს, 83%-მა დააფიქსირა ყოველთვიურად, 8% არასდროს არ იხდის, 5% -ს არ აქვს გადახდის საშუალება, 3% კვარტალში ერთჯერ იხდის, ხოლო 1% - წელიწადში ერთჯერ, (იხ. დიაგრამა #15):




დიაგრამა #15

საბოლოო ჯამში გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 13% არ იხდის გადასახადს, თუმცა სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით გადასახადს გორის მუნიციპალიტეტში არ იხდის 49,20%, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტში გადასახადს არ იხდის 29%. რესპონდენტების პასუხებით მიღებული სტატისტიკამ კი მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი წარმოადგინა, რაც სავარაუდოდ უფრო მეტად წარმოადგენს რესპონდენტთა განწყობას და არა რეალურ მდგომარეობას, (იხ. დიაგრამა #16 და #17):




დიაგრამა #16



დიაგრამა #17

იმ უკმაყოფილობის ფონზე, რაც მოქალაქეებს, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებებს გააჩნიათ ნარჩენების მართვის სერვისების მიწოდებისას, კითხვაზე, თუ რა თანხას გადაიხდიდნენ, რომ გაუმჯობესდეს ნარჩენების მართვის მომსახურება მათ თემში, რესპონდენტთა 93%-მა დაგვისახელა იგივე თანხა, რასაც ამჟამად იხდის, სულზე 50 თეთრი, 5%-მა ერთი ლარის და ორმოცდაათი თეთრის გადახდის სურვილი გამოთქვა და მხოლოდ 2%-მა აღნიშნა, რომ გადაიხდიან ორ ლარს, (იხ. დიაგრამა #18):

სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რამდენ ლარს გადაიხდიდით ყოველთვიურად?




დიაგრამა #18

წინამდებარე ბლოკში მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავება არ გამოიკვეთა, რაც საკმაოდ საინტერესოა, რადგან ერთის მხრივ მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით და აქცენტს აკეთებს საკუთარი უფლებების დარღვევაზე, თუმცა მეორეს მხრივ, თვითონ არღვევს კანონს და არ იხდის ნარჩენების მოსაკრებელს, რაც ხდება გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ ვერ ვითარდება აღნიშნული სერვისი და ხელისუფლებას უწევს მისი გამუდმებით სუბსიდირება. მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული სუბსიდირება საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარჯია და წარმოადგენს გარკვეულ დაბრკოლებას მუნიციპალური სრვისების განვითარების მიმართულებით. გარდა ამისა, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, თვითონ სერვისის მიმღები არ ცდილობს გადაიხადოს შედარებით მაღალი გადასახადი, რაც ასევე ხდება იმის გამომწვევი მიზეზი, რომ არსებული ფინანსური რესურსი თუ არ გაიზარდა, ვერ განვითარდება ნარჩენების მართვის სისტემა გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში, რადგან ვერ მოხერხდება ნარჩენების მართვის მუნიციპალური სერვისის გაუმჯობესება არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო.

კვლევის ბოლო ბლოკი I მოიცავს კითხვებს მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების და მოვალეობების შესახებ. კერძოდ, ამ ბლოკის ინტერესის სფეროს წარმოადგენს გამოარკვიოს, იციან თუ არა სამიზნე მუნიციპალიტეტების სასოფლო არეალებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რისი უფლება აქვთ მათ, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებებს და რისი უფლება აქვთ მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

ბლოკი I-ს კითხვებზე რესპონდენტთა მხოლოდ 23%-მა დააფიქსირა, რომ აქვს ცოდნა საკუთარ უფლებებზე, ხოლო 77%-ს არ აქვს ინფორმაცია (იხ. დიაგრამა #19).

თუ იცით, რისი მონტოვნის უფლებები და მოვალეობები გაქვთ ნარჩენების მართვის კუთხით?




დიაგრამა #19

მნიშვნელოვანია, რომ განურჩევლად იმისა, ჰქონდათ თუ არა ცოდნა რესპონდენტებს საკუთარი უფლებებზე, ინტერვიუერი კითხვის დასმამდე უხსნიდა თითოეულს, რომ მათ გააჩნიათ გარკვეული უფლებები, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებს, ასევე როგორც მოქალაქეებს.

ბლოკი I-ს უფლებების მიმართულებით დასმულ ამ კითხვაზე მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავება აშკარად შესამჩნევად გამოიკვეთა. კერძოდ, იმ რესპონდენტებმა, ვინც აღნიშნეს, რომ აქვთ ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ, 90% იყო გორის მუნიციპალიტეტის სასოფლო თემებში მცხოვრებნი, ხოლო იმ რესპონდენტთა შორის, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ არ აქვთ ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არის ქარელის მუნიციპალიტეტიდან.

რესპონდენტებმა შემდეგ კითხვაზე, თუ რა უფლებები გააჩნიათ, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებებს 32%-მა დააფიქსირა, რომ სურთ მოითხოვონ გამართული ინფრასტრუქტურა, 31%-მა აღნიშნა სტანდარტებთან შესაბამისი ნაგვის ურნების საჭიროება, 20%-მა გამოთქვა სპეციალიზირებული ავტომანქანით კვირაში რამდენჯერმე ნარჩენების გატანის სურვილი, 15%-ს სურს ნაგვის ურნების განთავსება მათ საცხოვრებელ უბნებში და 2%-ს სურს სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა, (იხ. დიაგრამა #20):



დიაგრამა #20


ბლოკი I-ს შემდეგი კითხვა ეხება ნარჩენების სეპარირებას და მის განთავსებას სანაგვე ურნებში. ამ მიმართულებით დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ნარჩენების სეპარირება, რესპონდენტთა 48%-მა აღნიშნა, რომ ჯერ საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება, 35%-ს არ აქვს ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს სეპარირება, ასევე სეპარირების შესაძლებლობაზე არ არის ინფორმირებული გამოკითხულთა 13%, რესპონდენტთა 4%-ის აზრით მოსახლეობა ჯერ არ არის მზად, ხოლო 1% ფიქრობს, რომ საჭიროა შესაბამისი ურნების დადგმა/განთავსება საცხოვრებელ უბნებში.

ბლოკი I-ს ბოლო კითხვის ინტერესს წარმოადგენს, თუ რა ფორმით ყრის მოქალაქე ნარჩენებს ნაგვის ურნებში/კონტეინერებში. ამ მიმართულებით დასმულ კითხვაზე გამოკითხულთა 68%-მა დააფიქსირა, რომ ურნაში ნარჩენებს ყრის თავმოკრული პარკით, 14% მაქსიმალურად იცავს წესებს, 9% ერთად ყრის ყოველგვარ ნარჩენს, 5% პირდაპირ, ყოველგვარი შეფუთვის გარეშე ყრის, ხოლო 4% არ ყრის საკვების და ბოსტნეულის ნარჩენებს.

ბლოკი I-ს კითხვებზე რესპოდენტების მიერ გაცემულმა პასუხებმა აჩვენა, რომ მოქალაქეებს ნაკლებად აქვთ გააზრებული ის სამოქალაქო ვალდებულებები, რაც მათ გააჩნიათ სახელმწიფოს წინაშე და პირიქით, ასევე ზერელე დამოკიდებულება აქვთ, თუ რა პასუხიმგებლობა აქვს ხელისუფლებას, რომ დაიცვას მათი, როგორც მოქალაქეების და როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებები.

შემუშავებული კითხვარის ბლოკი I-ს კითხვებზე რესპოდენტების მიერ გაცემული პასუხების გაანალიზებისას საკმაოდ მკაფიოდ წარმოჩინდა, რომ გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის სასოფლო არეალებში მცხოვრებ მოქალაქეებს აქვთ ცნობიერების დაბალი დონე, როგორც სამოქალაქო, ასევე მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების მხრივ. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ამ კვლევამ მკაფიოდ გამოყო ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც შეეხება ნარჩენების მართვისას ერთის მხრივ,

მოქალაქეების მიერ საკუთარი უფლებების შესახებ არ ცოდნას, ხოლო მეორე მხრივ, ამავე მოქალაქეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობას და მისი მნიშვნელობის ვერ გაცნობიერებას. კერძოდ, რესპონდენტთა უმეტესობა არ, ან ვერ აცნობიერებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მის მიერ მოსაკრებლის გადახდას, ნარჩენების დახარისხებას, სანაგვე ურნების ინფრასტრუქტურის გაფრთხილებას და ა.შ. (იხ. დიაგრამა #21):



დიაგრამა#21

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მონიტორინგის მიზნით ნაწარმოებმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ნარჩენების მართვის მუნიციპალური სერვისების მიწოდებისას სათანადოდ არ ხდება სამიზნე მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების და ინტერესების დაცვა, ვინაიდან დროულად არ გააქვთ ნარჩენები, ხოლო მოქალაქე, როდესაც მიდის ურნასთან, ხშირ შემთხვევაში ურნა არის გადავსებული, ან დაზიანებული, ან დაბინძურებული, ან ურნის გარშემო ხვდება მიუსაფარი ცხოველების მიერ ურნიდან ამოღებისას გაფანტული ნარჩენებით ირგვლივ დანაგვიანებული გარემო. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი ფაქტორია მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის მოსაკრებლის საკითხი. ამ მიმართულებით სახელისუფლებო შტოები ხშირად მთავარ არგუმენტად იყენებენ იმ ფაქტს, რომ ვერ ხდება მოსახლეობიდან მოსაკრებლის სრულად ამოღება და ნარჩენების მართვა მუდმივად სუბსიდირებაზეა დამოკიდებული, რაც წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, რომ შესამჩნევად გაუმჯობესდეს მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების და ინტერესების დაცვა. ნაწარმოები კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ ორივე მუნიციპალიტეტში არასათანადოა ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვა და ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ ქარელის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით გაცილებით მეტი პრობლემაა, ვიდრე გორის მუნიციპალიტეტში.

მნიშვნელოვანია, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების მოქალაქეთა უმრავლესობის დაბალი ცნობიერება საკუთარი უფლებების შესახებ, არ წარმოაჩენს მხოლოდ ერთ პრობლემას,

არამედ ეს ფაქტორი იწვევს პრობლემების მრავალრიცხოვან ჯაჭვს, რაც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების დაცვის მიმართულებით დგას გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში. ვინაიდან, თუ მოქალაქემ არ იცის, რა მოითხოვოს, შესაბამისად ხელისუფლებაც არ, ან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, იმ სტანდარტების და რეგულაციების შესაბამისად, რასაც ავალდებულებს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა და ასოცირების ხელშეკრულება.

საბოლოო ჯამში კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პროექტის გუნდმა გამოკვეთა ძირითადი მიგნებები და გამოიტანა შესაბამისი დასკვნები, რის საფუძველზე შეიმუშავა სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც თან ერთვის მონიტორინგის ანგარიშს და მომზადებულია მთლიანად პროექტის გუნდის ხედვის და კვლევის შედეგების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები

- გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში შექმნილია ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები, რომელთა შესრულება ეტაპობრივად მიმდინარეობს.
- ბოლო სამი წლის მანძილზე ორივე მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის კუთხით გაუმჯობესდა სიტუაცია, ნარჩენების გატანის მომსახურებით დაიფარა მეტი სასოფლო არეალი და დაიდგა მეტი ნაგვის ურნა.
- სასოფლო არელებიდან რეგულარულად მიმდინარეობს ნარჩენების გატანა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სასოფლო ტიპის დასახლება სრულად არაა ათვისებული, რაც იწვევს ერთის მხრივ მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა ინტერესების და უფლებების უგულებელყოფას, ხოლო მეორეს მხრივ, სოფლებში, საავტომობილო გზებსა და მდინარეების ნაპირებზე სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნის პროცესს.
- არასაკმარისია სასოფლო არელებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისთვის კვირის განმავლობაში დაწესებული დღეების რაოდენობა.
- შეუსაბამოა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და გატანის ტექნიკური აღჭურვილობა.
- სასოფლო არელებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განთავსებული ურნები ვერ უზრუნველყოფს არსებულ საჭიროებებს და მათი რაოდენობა არ არის საკმარისი წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად.
- სასოფლო არელებში განთავსებული ნაგვის ურნები გარკვეული ნაწილი დაზიანებული, ან ამორტიზებულია, რაც კონტეინერების ირგვლივ არსებულ გარემოს აბინძურებს;
- ნარჩენების მართვის კუთხით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მუნიციპალიტეტებში საჭირო რაოდენობის სპეც ტექნიკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა.
- ორივე მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმებში გაწერილია სტიქიური ნაგავსაყრელების რემედიაციის/დახურვის ვალდებულება, თუმცა ვერ მოხერხდა ყველა სტიქიური ნაგავსაყრელის დახურვა, რადგან ამ პროცესის დასასრულებლად სამიზნე მუნიციპალიტეტების ხელისუფლებას აქვს, როგორც ფინანსური, ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების ნაკლებობა.

- ნარჩენების მართვის გეგმებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების უზრუნველყოფას, მაგრამ არც გორის და არც ქარელის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მოსახლეობიდან მოსაკრებელის ამოღების ეფექტიანი სისტემა, რის გამოც ორივე მუნიციპალიტეტს თითქმის მუდმივად უწევს ნარჩენების მართვის სუბსიდირება, რაც წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებით დასახული ამოცნების ნაწილის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.
- ნარჩენების მართვის გეგმებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად განსახორციელებელ აქტივობებს, თუმცა ამ მხრივ მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებული ღონისძიებები ნაკლებად ხორციელდება, შესაბამისად სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოწვევად რჩება მოსახლეობის დაბალი ცნობიერება, როგორც გარემოსდაცვითი, ასევე საკუთარი უფლებების და მოვალეობების მიმართულებით.
- საქართველოს კანონმდებლობით ასევე ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია შესაბამისი სტანდარტების დაცვით ნაგვის ურნების რეცხვა/დეზინფექციის საკითხი, მაგრამ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით არცერთ სამიზნე მუნიციპალიტეტში არ მიმდინარეობს ამ მიმართულებით ნაგვის ურნების დამუშავება.
- გარემოს დაბინძურებისათვის დაწესებული საჯარიმო სანქციების სისტემა არაეფექტურია და ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებს.
- ნარჩენების მართვის გეგმებში განსაკუთრებული ხაზგასმითაა წარმოდგენილი ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირების ხელშემწყობი საქმიანობების განხორციელება და კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვა, მაგრამ ამ მიმართულებებით ჯერ-ჯერობით არაფერია გაკეთებული;
- ნარჩენების მართვის გეგმებში ასევე ზუსტადაა გაწერილი სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019/2020 წლისთვის, მაგრამ 2022 წლის ბოლოსთვისაც კი არაფერია გაკეთებულა ნარჩენების სეპარირების მიმართულებით.

რეკომენდაციები

- აუცილებელია, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის მერიებმა დროულად განაახლონ ნარჩენების მართვის შემდეგი წლების (2023-2027) ხუთწლიანი გეგმები, სადაც უფრო კონკრეტულად იქნება წარმოდგენილი მისაღწევი ინდიკატორები, როგორც ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსების, ასევე მუნიციპალური მომსახურების მიმდებთა უფლებების/ინტერესების დაცვის, გარემოს გაჯანსაღების და სეპარირების მიმართულებით;
- სასურველია, ქარელის მუნიციპალიტეტში გამოიყოს ადგილი ერთიანი მუნიციპალური ნაგავსაყრელის მოსაწყობად, ან გამოიყოს ადგილები სეპარირებული ნარჩენების უბნების მოსაწყობად, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდეს ნარჩენების სეპარირება, მათი რეალიზება და მიღებული შემოსავლების ჩაბრუნება ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებაში;
- აუცილებელია, გორის მუნიციპალიტეტში არსებული ნაგავსაყრელი შესაბამისობაში მოვიდეს ევროპული სტანდარტებით დაწესებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელთან, განსაკუთრებით ნარჩენების სეპარირების და ნარჩენების გადამუშავების მიმართულებით.
- აუცილებელია, სამიზნე მუნიციპალიტეტების სასოფლო არეალებში გაიზარდოს ნაგვის ურნების რაოდენობა და მოემსახუროს მეტი ნაგავშიდი;
- აუცილებელია, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის ყველა ურბანულ და სასოფლო დასახლებაში დაინერგოს ნაგვის ურნების რეცხვა/დეზინფექცია სპეციალური ხსნარების საშუალებით და შესაბამისი ჰიგიენური სტანდარტების დაცვით;
- აუცილებელია, კვირის განმავლობაში გაიზარდოს სასოფლო არეალებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა/დასუფთავების დღეების რაოდენობა;
- აუცილებელია, დასუფთავების სერვისის უშუალოდ მიმწოდებლების მხრიდან გაუმჯობესდეს მოქალაქეთა უფლებების დაცვის და ინტერესებისადმი პატივისცემა;
- სასურველია გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის მერიებმა უფრო ახლო თანამშრომლობითი ურთიერთობა ჩამოაყალიბონ გარემოსდაცვით და სხვა

არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთო ძალისხმევით განახორციელონ ისეთი ინტერვენციები, რომლებიც მიმართული იქნება ნარჩენების მართვისას ადგილობრივი მოქალაქეების, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებების/ინტერესების დაცვაზე, სურსათის უვნებლობაზე, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და ჯანსაღი გარემოს განვითარებაზე;

- სასურველია სამიზნე მუნიციპალიტეტებმა გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი, რათა ნარჩენების მოსაკრებლის გადახდის მნიშვნელობაზე მომზადებული იქნეს ბეჭდური მასალა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო რგოლები და ხელი შეუწყოს ამ საგანმანათლებლო მასალების გავრცელებას სხვადასხვა გზებით, მათ შორის მედია და სოციალური ქსელების საშუალებებით;
- სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სასოფლო თემებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების კომპოსტირების მეთოდების დანერგვას;
- სასურველია, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექს“-ის შესაბამისად სამიზნე მუნიციპალიტეტებმა ხელი შეუწყონ ნარჩენების წვის შემთხვევების შესამცირებელ ღონისძიებებს და ნარჩენების წვის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების ორგანიზებას;
- სასურველია, მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ხშირად მოეწყოს დასუფთავების აქციები, სადაც აქტიურად იქნება ჩართული მოსახლეობა, საგანმანათლებლო დაწესებულებები, საჯარო სამსახურები და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა რგოლი;

ტერმინთა განმარტება

რესპონდენტი - პირი, რომელიც მონაწილეობს კვლევაში და პასუხობს ინტერვიუერის მიერ დასმულ კითხვებს;

ინტერვიუერი - პირი, რომელიც ეკითხება რესპონდენტს და ავსებს კითხვარს;

შერჩევის წერტილი - გამოსაკითხი გეოგრაფიული არეალი, სადაც მიმდინარეობს კვლევა/კითხვარების შევსება/რესპონდენტების გამოკითხვა;

ბიჯი - რიგითობის გადანაცვლება, შემდეგი ოჯახის ან რესპონდენტის გამოსაკითხად;

სტიქიური ნაგავსაყრელი - უკანონოდ განთავსებული ნაგავსაყრელი, რომელიც მოსახლეობის ინიციატივით, მაგრამ უკანონოდ არსებობს გარემოში და აბინძურებს მას;

სეპარირება - დახარისხება, საყოფაცხოვრებო და არამხოლოდ, ნარჩენების დახარისხება ერთგვაროვნულობის მიხედვით;

ბიო დეგრადირებადი - ნარჩენი, რომელიც ექვემდებარება ბუნებრივად ხრწნის პროცესს. ასეთი სახის ნარჩენია საკვები პროდუქტები, ქაღალდი და პოლიეთილენის ზოგიერთი სახეობა.

მყარი ნარჩენი - ნარჩენი, რომელიც არის მყარი და არ ექვემდებარება ხრწნის და დაშლის პროცესს, ძირითადად ასეთია სამშენებლო სახის ნარჩენი;

რემედიაცია - შემცირება, ტერმინი გამოიყენება სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობის შემცირების აღსანიშნავად.

დანართები

დანართი #1.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი

მოგესალმებით, „ქალი და განვითარება“-ის სახელით ვატარებ კვლევას, რამდენადაა დაცული თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები ნარჩენების მართვისას ქარელის/გორის მუნიციპალიტეტში. კვლევა არის სრულიად ანონიმური და თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება ზოგადი სტატისტიკური მონაცემების და სერვისების გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ, გამოყოთ 5 წუთი შეკითხვებზე საპასუხოდ.

ბლოკი A: შესავალი

რიცხვი/თვე	
დაწყების დრო	
დასრულების დრო	
მუნიციპალიტეტი	
თემი	
სოფელი/უბანი/ქუჩა	
ინტერვიუერი	

ბლოკი B: დემოგრაფიული

B 1. სქესი

B 1.1.	ქალი	
B 1.2	მამაკაცი	

B 2. ასაკი:

B 2.1	18-30	
B 2.2	30-35	
B 2.3	35-50	
B 2.4	50-60	
B 2.5	60 და მეტი	

B 3. ეკონომიკური სტატუსი:

B 3.1	დასაქმებული საჯარო სექტორში	
B 3.2	დასაქმებული კერძო სექტორში/სეზონურად დასაქმებული	
B 3.3	სტუდენტი	
B 3.4	პენსიონერი	
B 3.5	უმუშევარი	

ბლოკი C: ურნების განთავსება და მდგომარეობა

C. 1. არის თუ არა განთავსებული საწაგვე ურნები თქვენს საცხოვრებელ უბანში?

C.1.1	დიახ	
C.1.2	არა	

C.2. მანძილი თქვენი საცხოვრებელი სახლიდან უახლოეს ნაგვის ურნამდე?

C.2.1.	0-200 მ	
C.2.2.	201-400 მ	
C.2.3.	401-600 მ	
C.2.4.	601-800 მ	
C.2.5.	801- და მეტი	

C3: რამდენად ხშირად ყრით საყოფაცხოვრებო ნარჩენებს?

C.3.1.	საჭიროებისამებრ	
C.3.2.	ყოველდღიურად	
C.3.3.	კვირაში ერთხელ	
C.3.4.	კვირაში 2-3 ჯერ	
C.3.5.	თვეში 2-3 ჯერ	

C4: ნარჩენების გადასაყრელად მისულს როგორი დაგზავდრიათ ნაგვის ურნა? (შეგიძლიათ შემოხაზოთ არაუმეტეს 3 პასუხისა)

C.4.1.	სუფთა	
C.4.2.	დაბინძურებული	
C.4.3.	ცარიელი	
C.4.4.	ნახევრად გადავსებული	
C.4.5.	სრულად გადავსებული/შეუძლებელია ნაგვის ურნაში მოთავსება	

C 5. როგორ მოქცეულხართ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაგვის ურნა გადავსებული დაგზავდრიათ?

C.5.1	უკან წამიღია	
C.5.2.	ძალით ჩამიტენია	
C.5.3.	სხვა ურნა მომიძებნია	
C.5.4	ურნის გვერდით დამიყრია	
C.5.5.	ქუჩაში დამიყრია	

ბლოკი D: ნაგვის გატანა და და ურნების მდგომარეობა

D 2. რა პერიოდულობით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?

D.2.1	ყოველდღიურად	
D.2.2	კვირაში ერთჯერ	
D.2.3	კვირაში ორჯერ	
D.2.4	თვეში რამდენჯერმე	
D.2.5	არ ვარ ინფორმირებული	

D3. რა ფორმით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?

D.2.1	ღია მანქანით	
D.2.2	დახურული მანქანით	
D.2.3	ხან ღია, ხან დახურული მანქანით	
D.2.4	არ დაკვირვებივარ	
D.2.5	არ ვიცი	

D4. რამდენად ხშირად უტარდება თქვენს საცხოვრებელ უბანში ნაგვის ურნებს დეზინფექცია?

D.4.1	კვირაში ერთჯერ	
D.4.2	კვირაში ერთჯერ	
D.4.3	კვარტალში ერთჯერ (3-4 თვეში ერთჯერ)	
D.4.4	არ ხდება დეზინფექცია	
D.5.5	არ შემიძინევს/არ დაკვირვებივარ/არ ვარ ინფორმირებული	

D5. როგორია ნაგვის ურნების მდგომარეობა თქვენს სიახლოვეს?

D.5.1	დაზიანებულია/გატეხილია	
D.5.2	არ აქვს სახურავი/არ აქვს ფეხები	
D.5.3	დაბინძურებულია	
D.5.4	ნაწილობრივ მაკმაყოფილებს	
D.5.5	არ მაკმაყოფილებს	

ბლოკი E: ნარჩენების მართვისას მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებრივი მდგომარეობა

E 1. როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა თქვენი, როგორც მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებები ნარჩენების მართვის მხრივ? („ღიახ“ პასუხის შემთხვევაში დაუსვით მომდევნო შეკითხვა, სხვა შემთხვევაში გამოტოვეთ შეკითხვა E1.2)

E1.1.	ღიახ	
E1.2	არა	

E 2. რა მხრივ ირღვევა თქვენი უფლებები? (შეგიძლიათ შემოხაზოთ მაქსიმუმ 3 პასუხი)

E.2.1	არ ხდება ნარჩენების დროულად გატანა	
E.2.2	მუდმივად გადავსებულია ურნები	
E.2.3	არასათანადოა ნარჩენების მართვის მომსახურება	
E.2.4	საფრთხე ექმნება ჩემს ჯანმრთელობას	
E.2.5	ბინძურდება გარემო	

ბლოკი H: ნარჩენების გატანის მოსაკრებელი

H1. არის თუ არა დაწესებული ნარჩენების გატანის მოსაკრებელი თქვენს თემში?

H.1.1.	ღიახ	
H.1.2	არა	

H 2. რა პერიოდულობით იხდით ნარჩენების გატანის მოსაკრებელს?

(თუ წინა კითხვაზე გაგვცა დადებითი „დიახ“ პასუხი, მხოლოდ ამ შემთხვევაში დასვით ეს კითხვა)

H.2.1	ყოველთვიურად	
H.2.2	კვარტალურად (წელიწადში 3-4 ჯერ)	
H.2.3	წელიწადში ერთხელ	
H.2.4	არ მაქვს გადახდის საშუალება	
H.2.5	არასდროს არ ვიხდი	

H 3. სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რამდენ ლარს გადაიხდიდით ყოველთვიურად?

H.3.1	რასაც ვიხდი იგივე (სულზე 50 თეთრი)	
H.3.2	1,5 ლარი	
H.3.3	2 ლარი	
H.3.4	2,5 ლარი	
H.3.5	3 ლარი	

ბლოკი I: მუნიციპალური მომსახურების მიმღებთა უფლებები და მოვალეობები

I 1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რისი მოთხოვნის უფლებები და მოვალეობები გაქვთ ნარჩენების მართვის კუთხით?

I.1.1	დიახ	
I.1.2	არა	

I 2. გთხოვთ დაგვისახელოთ უფლებები

I.3.1	ნაგვის ურნები იყოს განთავსებული საცხოვრებელ ზონებში	
I.3.2	სტანდარტებთან შესაბამისი ნაგვის ურნები	
I.3.3	ნარჩენების გატანა კვირაში რამდენჯერმე სპეციალიზირებული მანქანით	
I.3.4	გამართული ინფრასტრუქტურის მოთხოვნა	
I.3.5	ალიკვეთოს სტიქიური ნაგავსაყრელები	

I 3. რამდენადაა შესაძლებელი ნარჩენების სეპარება (დახარისხება) ?

I.3.1	არ მაქვს ინფორმაცია რას ნიშნავს სეპარირება	
I.3.2	ინფორმირებული ვარ	
I.3.3	სასურველია მოხდეს სეპარირება და დაიდგეს შესაბამისი ურნები	
I.3.4	ჯერ საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება	
I.3.5	მოსახლეობა ჯერ არ არის მზად	



I 4. ურნებში ნაგვის განთავსების ფორმები?


I.3.1	ნარჩენების ურნაში განთავსებას ვახდენ თავმოკრული პარკით	
I.3.2	პირდაპირ, ყოველგვარი შეფუთვის გარეშე ცერი ურნაში	
I.3.3	ერთად ცერი ყოველგვარ ნარჩენს	
I.3.4	არ ცერი საკვები პროდუქტების და ხილ/ბოსტნეულის ნარჩენებს	
I.3.5	მაქსიმალურად ვიცავ წესებს	

დანართი #2


რაოდენობრივი კვლევის ანალიზისას შედგენილი დიაგრამები

საერთო ანალიზის დიაგრამები







არის თუ არა განთავსებული სანაგვე ურნები თქვენს საცხოვრებელ უბანში?




მანძილი საცხოვრებელი სახლიდან უახლოეს ნაგვის ურნამდე




რამდენად ხშირად ყრით საყოფაცხოვრებო ნარჩენებს?




ნარჩენების გადასაყრელად მისულს, როგორი დაგზვედრიათ ნაგვის ურნა?




როგორ მოქცეულხართ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაგვის ურნა გადავსებული დაგზვედრიათ?




რა პერიოდულობით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?




რა ფორმით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?



რამდენად ხშირად უტარდება თქვენს საცხოვრებელ უბანში ნაგვის ურნებს დეზინფექცია?




როგორია ნაგვის ურნების მდგომარეობა თქვენს სიახლოვეს?




- დაზიანებულია/გატეხილია
- არ აქვს სახურავი/არ აქვს ფეხები
- დაბინძურებულია
- ნაწილობრივ მაკმაყოფილებს
- არ მაკმაყოფილებს


როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები ნარჩენების მართვის მხრივ?




რა მხრივ ირღვევა თქვენი უფლებები?




არის თუ არა დაწესებული ნარჩენების გატანის მოსაკრებელი თქვენს თემში?




რა პერიოდულობით იხდით ნარჩენების გატანის მოსაკრებელს?




სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რამდენ ლარს გადაიხდილით ყოველთვიურად?




თუ იცით, რისი მოთხოვნის უფლებები და მოვალეობები გაქვთ ნარჩენების მართვის კუთხით?




გთხოვთ დაგვისახელოთ უფლებები:





რამდენადაა შესაძლებელი ნარჩენების სეპარირება?



ურნებში მაგვის განთავსების ფორმები?




გორის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივი კვლევის ანალიზის დიაგრამები




ეკონომიკური სტატუსი

მუნიციპალიტეტი: გორი




არის თუ არა განთავსებული სანაგვე ურნები თქვენს საცხოვრებელ უბანში?

მუნიციპალიტეტი: გორი




მანძილი საცხოვრებელი სახლიდან უახლოეს ნაგვის ურნამდე

მუნიციპალიტეტი: გორი




ნარჩენების გადასაყრელად მისულს, როგორი დაგხვედრიათ ნაგვის ურნა?

მუნიციპალიტეტი: გორი




როგორ მოქცეულხართ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაგვის ურნა გადავსებული დაგზვედრიათ?

მუნიციპალიტეტი: გორი




რა პერიოდულობით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?

მუნიციპალიტეტი: გორი




რა ფორმით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?

მუნიციპალიტეტი: გორი




რამდენად ხშირად უტარდება თქვენს საცხოვრებელ უბანში ნაგვის ურნებს დეზინფექცია?

მუნიციპალიტეტი: გორი




როგორია ნაგვის ურნების მდგომარეობა
თქვენს სიახლოვეს?
მუნიციპალიტეტი: გორი




- დაზიანებულია/გატეხილია
- არ აქვს სახურავი/არ აქვს ფეხები
- დაბინძურებულია
- ნაწილობრივ მაკმაყოფილებს
- არ მაკმაყოფილებს

როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები ნარჩენების მართვის მხრივ?

მუნიციპალიტეტი: გორი




რა მხრივ ირღვევა თქვენი უფლებები?
მუნიციპალიტეტი: გორი




არის თუ არა დაწესებული ნარჩენების გატანის მოსაკრებელი თქვენს თემში?

მუნიციპალიტეტი: გორი




რა პერიოდულობით იხდით ნარჩენების გატანის მოსაკრებელს?

მუნიციპალიტეტი: გორი




სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რამდენ ლარს გადაიხდიდით ყოველთვიურად?

მუნიციპალიტეტი: გორი




თუ იცით, რისი მოთხოვნის უფლებები და მოვალეობები გაქვთ ნარჩენების მართვის კუთხით?

მუნიციპალიტეტი: გორი




გთხოვთ დაგვისახელოთ უფლებები:

მუნიციპალიტეტი: გორი




რამდენადაა შესაძლებელი ნარჩენების სეპარირება?

მუნიციპალიტეტი: გორი





ურნებში მაგვის განთავსების ფორმები?

მუნიციპალიტეტი: გორი




ქარელის მუნიციპალიტეტში რაოდენობრივი კვლევის ანალიზის დიაგრამები




ეკონომიკური სტატუსი

მუნიციპალიტეტი: ქარელი




არის თუ არა განთავსებული სანაგვე ურნები თქვენს საცხოვრებელ უბანში?

მუნიციპალიტეტი: ქარელი




მანძილი საცხოვრებელი სახლიდან უახლოეს ნაგვის ურნამდე

მუნიციპალიტეტი: ქარელი




რამდენად ხშირად ყრით საყოფაცხოვრებო ნარჩენებს?


მუნიციპალიტეტი: ქარელი




ნარჩენების გადასაყრელად მისულს, როგორ დაგხვედრიათ
ნაგვის ურნა?
მუნიციპალიტეტი: ქარელი




როგორ მოქცეულხართ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაგვის ურნა
გადავსებული დაგხვედრიათ?




რა პერიოდულობით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?




რა ფორმით გააქვთ თქვენი დასახლებიდან ნაგავი?



რამდენად ხშირად უტარდება თქვენს საცხოვრებელ უბანში ნაგვის ურნებს დეზინფექცია?




როგორია ნაგვის ურნების მდგომარეობა თქვენს სიახლოვეს? მუნიციპალიტეტი: ქარელი




- დაზიანებულია/გატეხილია
- არ აქვს სახურავი/არ აქვს ფეხები
- დაბინძურებულია
- ნაწილობრივ მაკმაყოფილებს
- არ მაკმაყოფილებს

როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა თქვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები ნარჩენების მართვის მხრივ?


მუნიციპალიტეტი: ქარელი




რა მხრივ ირღვევა თქვენი უფლებები?
მუნიციპალიტეტი: ქარელი



არის თუ არა დაწესებული ნარჩენების გატანის მოსაკრებელი თქვენს თემში?




რა პერიოდულობით იხდით ნარჩენების გატანის მოსაკრებელს?




სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რამდენ ლარს გადაიხდიდით ყოველთვიურად?

მუნიციპალიტეტი: ქარელი




თუ იცით, რისი მოთხოვნის უფლებები და მოვალეობები გაქვთ ნარჩენების მართვის კუთხით?

მუნიციპალიტეტი: ქარელი




გთხოვთ დაგვისახელოთ უფლებები:

მუნიციპალიტეტი: ქარელი



რამდენადაა შესაძლებელი ნარჩენების სეპარირება?

მუნიციპალიტეტი: ქარელი



ურნებში მაგვის განთავსების ფორმები?

მუნიციპალიტეტი: ქარელი

